მწვანე ალტერნატივა

მისამართი: თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ. №27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73 / 222 38 74
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

<u>ჰესებს შეწირული სიცოცხლე</u>

2016 წლის 14 მარტს 17:00 საათზე, ორშაბათს, თავისუფლების მოედანზე (ბანკი რესპუბლიკას მიმდებარე ტერიტორიაზე), აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის წინ, გაიმართება მდინარეების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია „ჰესებს შეწირული სიცოხლე“. აქციის ორგანიზატორები არიან მოძრაობა "მწვანე მუშტი" და "მწვანე ალტერნატივა".

14 მარტი არის მდინარეების დაცვისა და კაშხლების საწინააღმდეგო დღე. ამ დღეს ათასობით ადამიანი მსოფლიოს მასშტაბით ზეიმობს ისეთ გამარჯვებებს, როგორიცაა კაშხლების დემონტაჟი და მდინარეების აღდგენა; მოუწოდებს გადაწყვეტილების მიმღებებს არსებული პოლიტიკისა და პრაქტიკის შეცვლისკენ; საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას მდინარეებთან დაკავშირებული საფრთხეების, წყლის მოხმარებისა და ენერგეტიკის განვითარებასთან დაკავშირებული საუკეთესო გადაწყვეტილებების შესახებ.

ამ აქციით გვინდა, გავაპროტესტოთ საქართველოში დაგეგმილი და მიმდინარე 100-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, რადგანაც ისინი ხორციელდება ძველი, საბჭოთა პერიოდის სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც უგულვებელყოფენ ეკოლოგიურ და სოციალურ რისკებს და მხოლოდ საინჟინრო-ეკონომიკური გათვლებით ხელმძღვანელობენ. გადაწყვეტილებები მიიღება ადგილობრივი მოსახლეობის თვალსაზრისის გაუთვალისწინებლად. დაგეგმილი და მიმდინარე პროექტებიდან განსაკუთრებით პრობლემურია შემდეგი პროექტები: 700 მგვტ. სიმძლავრის ხუდონჰესი, 280 მგვტ ნენსკრა ჰესი, 433 მგვტ. ნამახვანის ჰესების კასკადი და 109 მგვტ. დარიალი ჰესი, რომელთაც მნიშვნელოვანი უარყოფითი სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედება გააჩნიათ.

ასეთ პრაქტიკაზე ცივილიზებულმა სამყარომ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში თქვა უარი. საბჭოთა პერიოდში განხორციელებული ჰიდროპროექტების შედეგად, საქართველოს მდინარეებში განადგურდა და/ან გადაშენების საფრთხე დაემუქრა თევზების უნიკალურ სახეობებს, ზღვის სანაპირო ზოლისა და მდინარეების ეროზიის შედეგად, ყოველწლიურად მილიონობით ზარალს განიცდის ქვეყნის ეკონომიკა. მდინარეებისადმი არაგონივრულმა და უდიერმა დამოკიდებულებამ უახლოეს წარსულშიც (2012-2015 წ.) მწარედ შეგვახსენა თავი: არასწორად დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებს ადამიანთა მსხვერპლი, ინფრასტრუქტურის განადგურება და ეკონომიკური ზიანი მოჰყვა[1].

საქართველოში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტები ეწინააღმდეგება მდგრადი განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს, რაზეც ყურადღება გაამახვილა ევროპარლამენტმაც, საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებისას, მოუწოდა რა საქართველოს ხელისუფლებას, რომ მან „სრულად უნდა შეასრულოს ევროკავშირის სტანდარტები და ნორმები, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება დიდი ჰიდროელექტროსადგურების გარემოზე ზემოქმედების შესაფასებას“. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები კვლავ აგრძელებენ ჰიდროელექტროსადგურების პროექტების დაფინანსებას და განიხილავენ ახალ პროექტების დაფინანსების შესაძლებლობასაც.

აქცია ასევე ეძღვნება ჰონდურასელი აქტივისტების ბერტა კასერესისა და ტომას გარსიას ხსოვნას. **In memory of #BertaCaceres &#TomasGarcia**. ბერტა კასერესი 2016 წ. 3 მარტს, საკუთარ სახლში მოკლეს. ბერტა და მისი თემი ეწინააღმდეგებოდნენ ჰონდურასში Agua Zarca-ს კაშხლის მშენებლობას. გაერთიანება, რომელსაც ბერტა

[1] 2012 წლი 30 სექტემბერს სოფ. უკანავის მეწყერის შედეგად დაზიანდა ბახვიჰესი 3, ზარალმა 2 მილიონი დოლარის შეადგინა. 2014 წელს მდ. აჭარისწყალზე, შუახევი-ჰესის მშენებლობის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით დაზიანდა 127 სახლი სოფელ ჩანჩხალოში; 2014 წ. 17 მაისსა და 20 აგვისტოს დევრორაკის ღვარცოფის შედეგად დაიღუპა 9 ადამიანი, დაზიანდა დარიალჰესი, ლარსიჰესი, საბაჟო-გამღვები პუნქტი და სხვა ინფრასტრუქტურა; 2014 წ. 22 აგვისტოს მდ. ყუროს სელურმა ნაკადებმა მოშალა დარიალჰესის წყალამღები ნაგებობა; 2015 წ. 13-14 ივნისს, თბილისში მდ. ვერეს მოვარდნის შედეგად, დაიღუპა 20 ადამიანი, დაზარალდა 110 ოჯახი, თითქმის მთლიანად განადგურდა თბილისის ზოოპარკი, ზარალმა 100 მილიონი დოლარს გადააჭარბა.

www.greenalt.org

ხელმძღვანელობდა, ითხოვს, რომ მათ მიწაზე პროექტების განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მთავრობამ და კომპანიებმა გაითვალისწინონ ადგილობრივთა აზრი. Agua Zarca-ს კაშხლის მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლას 2013 წელს ბერტას თანამებრძოლი ტომას გარსია შეეწირა - მას მშვიდობიანი საპროტესტო მსვლელობისას ესროლეს, მისი შვილი კი დაჭრეს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ კაშხლის მშენებლობას ჰონდურასში აფინანსებდნენ ისეთი საფინანსო ინსტიტუტები, როგორებიცაა ცენტრალური ამერიკის ეკონომიკური ინტეგრაციის ბანკი (CABEI), ფინური ფინფანდი (Finnfund), და ჰოლანდიური განვითარების ბანკი (FMO).

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მდინარეებთან დაკავშირებულ დესტრუქციულ პროექტებში:

- საერთაშორისო დაფინანსება მოსახლეობისა და გარემოსთვის არ არის დაუცველობის გარანტია!
- საფრთხეს უქმნის ბუნებრივ და სოციალურ გარემოს!
- ხელყოფს ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების, გამოხატვის, ჯანსაღ გარემოში ცხოვრებისა და სიცოცხლის უფლებას!

<u>მოვითხოვთ, დროულად და ობიექტურად იქნას გამოძიებული</u> 2014 წელს დარიალის ხეობაში და 2015 წელს თბილისში სტიქიის დროს ადამიანების დაღუპვის მიზეზები/გარემოებები, განსაკუთრებით ამ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებული პროექტების ხარისხის, ნებართვების გაცემის პროცესისა და სანებართვო პირობების შესრულების საკითხები.

<u>მოვითხოვთ საქართველოს მთავრობამ გამოაცხადოს მორატორიუმი ჰესების მშენებლობაზე, სანამ:</u>

- არ იქნება დამტკიცებული ევროკავშირის დირექტივების შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შეფასების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მშენებლობის მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობა;

- არ შეიმუშავებს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიულ გეგმას და სექტორის სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას, სხვადასხვა ენერგოსცენარების დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზის საფუძველზე დაასაბუთებს ამა თუ იმ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საჭიროებას;

- არ იქნება კანონმდებლობით აღიარებული და დაცული ტრადიციული მიწათსარგებლობა;

- არ იქნება უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა, ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

<u>მოვითხოვთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისაგან, შეაჩეროს ყველა ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხილვა/დაფინანსება, მათ შორის ნენსკრა ჰესის,</u> იმ დრომდე, სანამ საქართველოს მთავრობა არ შეასრულებს ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირის გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობას და მათი შესრულება სავალდებულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებისა და ევროპარლამენტის შესაბამისი რეზოლუციის (A8-0042/2014) თანახმად.

www.greenalt.org